



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

ინგლისური ენა და ლიტერატურა

1. პროგრამის დასახელება: ინგლისური ენა და ლიტერატურა

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში (BA in English Language and Literature)

3. პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი და სტრუქტურული ერთეულები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი; ინგლისური ენის დეპარტამენტი; დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის დეპარტამენტი

4. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

- **მიზანი:** საბაკალავრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ ღრმა ცოდნა ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში. პროგრამა მიზნად ისახავს აგრეთვე სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი უნარის ჩამოყალიბებას პრაქტიკული საქმიანობისა და შემდგომი სამაგისტრო სწავლებისათვის.
- **შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები:** ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის დამთავრების შემდეგ სტუდენტს ექნება ინგლისური ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების სიღრმისეული ცოდნა, ასევე ზოგადი განათლება დასავლეთევროპული ლიტერატურის ისტორიაში ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული XX საუკუნის ჩათვლით; პროგრამის კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს საკომუნიკაციო კომპეტენციას ინგლისურ ენაში, მან უნდა შეძლოს სწავლის პერიოდში შეძენილი უნარ-ჩვევების პრაქტიკული გამოყენება - გამართული წერა და ზეპირმეტყველება ინგლისურ ენაზე; სტუდენტს ექნება ინგლისური ენის თეორიის პრობლემურ საკითხებში ჩაღრმავებისთვის საბაზისო ცოდნა.
- **დასაქმების სფერო:** კურსდამთავრებული შეძლებს პედაგოგიურ მოღვაწეობას შესაბამისი პროფილით, ასევე საქმიანობას სამთავრობო დაწესებულებებში და არასამთავრობო სექტორში.

5. პროგრამაზე მიღების წინაპირობები: საშუალო სკოლის ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლა

6. პროგრამის სტრუქტურა:

საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი სასწავლო დისციპლინათა 5 კატეგორიას მოიცავს:

1. საფაკულტეტო სავალდებულო კურსები (25 კრედიტი)
2. საფაკულტეტო არჩევითი კურსები (10 კრედიტი - 2 კურსი):
3. პროგრამის სავალდებულო კურსები (125 კრედიტი)
4. პროგრამის არჩევითი კურსები (3 კურსი - 15 კრედიტი)
5. თავისუფალი კრედიტები (5 კრედიტი)
6. დამატებითი სპეციალობის (Minor) დისციპლინები - 60 კრედიტი

პროგრამის სტრუქტურა

№	კურსი	სკ	ლ./პრ./ს/	კრედი -ტთა რაოდე ნობა	სემესტრები								წინაპირობა
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები (20 კრედიტი)													
1	ფილოსოფიის შესავალი	3	2.0.1	5	5								
2	ენათმეცნიერების შესავალი	3	2.0.1	5	5								
3	ლიტმცოდნეობის შესავალი	3	2.0.1	5	5								
4	კლასიკური ფილოლოგია	4	2.0.2	5	5								
საფაკულტეტო არჩევითი კურსები (10 კრედიტი - 2კურსი)													
1	საფაკულტეტო არჩევითი კურსი I (შესავალი კურსები)	3	2.0.1	5	5								
	შესავალი არქეოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი ადმოსავლეთმცოდნეობაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი რომანულ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი სლავურ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
2	საფაკულტეტო არჩევითი კურსი II (ენები)	3	0.3.0	5	5								
	ინგლისური ენა	3	0.3.0	5	5								
	გერმანული ენა	3	0.3.0	5	5								
	ფრანგული ენა	3	0.3.0	5	5								
	რუსული ენა	3	0.3.0	5	5								
	ქართული ენა(უცხოელ სტუდენტთათვის)	3	0.3.0	5	5								
	სპარსული ენა	3	0.3.0	5	5								

	თურქული ენა	3	0.3.0	5	5								
	არაბული ენა	3	0.3.0	5	5								
პროგრამის სავალდებულო კურსები (130 კრედიტი)													
1	ინგლისური ენა 1	6	0.6.0	10		10							
2	ინგლისური ენა 2	6	0.6.0	10			10						
3	ინგლისური ენა 3	6	0.6.0	10				10					
4	ინგლისური ენა 4	6	0.6.0	10					10				
5	ინგლისური ენა 5	6	0.6.0	10						10			
6	ინგლისური ენა 6	4	0.4.0	5							5		
7	ინგლისური ენა 7	4	0.4.0	5								5	
8	ლექსიკოლოგია	2	1.0.1	5					5				
9	თეორიული გრამატიკა	2	1.0.1	5						5			
10	ინგლისური ენის ისტორია	2	1.0.1	5							5		
11	საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია 1	3	2.0.1.	5		5							
12	მხატვრული ტექსტის ანალიზი	2	1.0.1	5		5							
13	საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია 2	3	2.0.1	5			5						
14	შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ინგლისური ლიტერატურის ისტორია	3	1.0.2	5				5					
15	XVII-XVIII. ინგლისური ლიტერატურის ისტორია	3	1.0.2.	5					5				

16	XIX ს. ინგლისური ლიტერატურის ისტორია	3	1.0.2	5						5		
17	XX ს. I ნახევრის ინგლისური ლიტერატურის ისტორია	3	1.0.2	5							5	
18	XX ს. II ნახევრის ინგლისური ლიტერატურის ისტორია	3	1.0.2	5								5
19	XX ს-ის ინგლისური ლიტერატურის პრობლემური საკითხები(სპეც. კურსი)	3	2.0.1	5								5
20	ზოგადი ენათმეცნიერება	2	1.0.1	5								5
21	ქართული ენა	1.5	1. 0. 0.5.	2.5		2.5						
22	ქართული ლიტერატურა	1.5	1. 0. 0.5.	2.5		2.5						
პროგრამის არჩევითი კურსები (15 კრედიტი - 3 კურსი)												
1	არჩევითი კურსი - 1	3	2..0.1			5						
1.1	ქვეყანათმცოდნეობა											
1.2	XIX ს. ამერიკული ლიტერატურა											
2	არჩევითი კურსი - 2	2	0.2.0.			5						
2.1	დესკრიფციული წერა 1											
2.2	XX ს. ამერიკული ლიტერატურა											
3	არჩევითი კურსი - 3	2	0.2..0					5				
3.1	დესკრიფციული წერა 2											
3.2	უილიამ შექსპირის დრამატურგია											
	თავისუფალი კრედიტები	3		5						5		
	დამატებითი სპეციალობის (Minor) კრედიტები			60		10	10	10	10	10	10	
	სულ			240	30	30	30	30	30	30	30	

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში ლ/პ/ს/ლაბ. - ლექცია/პრაქტიკული/სემინარი/ლაბორატორიული

7. სასწავლო კურსების ანოტაციები საფაკულტეტო სავალდებულო კურსები (20 კრედიტი)

კურსის კოდი: SFB0500

კურსის დასახელება: **ფილოსოფიის შესავალი** (5კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კულტურის, რელიგიის, ფილოსოფიის პრობლემატიკა, აზროვნების ზოგადი კანონზომიერებები, შემეცნების თეორია, ღირებულებების, რწმენის, თავისუფლების საკითხები. ანტიკური ფილოსოფიის მიმოხილვა, შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის იდეალები, მეცნიერული პროგრესის იდეა ახალ დროში, თანამედროვე აზროვნება და პოსტმოდერნული სიტუაციის ანალიზი.

კურსის კოდი: HLB0110

კურსის დასახელება: **ენათმეცნიერების შესავალი** (5 კრედიტი).

ენათმეცნიერების შესავლის კურსი იკითხება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის პირველ წელს. კურსის მიზანია, გააცნოს სტუდენტებს ენათმეცნიერების ძირითადი საკითხები, ჩამოუყალიბოს დისციპლინისათვის არსებითი ტერმინოლოგიური ბაზა, შეასწავლოს ენათმეცნიერების ყველა დარგის საფუძვლები. კურსი გულისხმობს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს.

კურსის კოდი: HGB0230

კურსის დასახელება: **ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი** (5 კრედიტი).

ლიტერატურისმცოდნეობის შესავლის კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ლიტერატურისმცოდნეობის პროპედევტიკა, ლიტერატურისმცოდნეობა და მისი ძირითადი დარგები, მონათესავე და დამხმარე დისციპლინები, პოეტიკის განვითარების ეტაპები; ლიტერატურა და ხელოვნება; ხელოვნების დარგები; ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსი და ფორმა; თემა, იდეა, მიზამდასახელობა; ლიტერატურული ნაწარმოების კომპოზიცია და სიუჟეტი; პერსონაჟთა კლასიფიკაცია; ადამიანთა სახეები გამოსახვის მეთოდის მიხედვით; მხატვრულ სახეთა შექმნის საშუალებები. დახასიათების სახეები; მწერლის ენა და პერსონაჟის ენა, პოეტური ლექსიკა, ტროპის სახეები, პოეტური სინტაქსის ფიგურები; ლექსი და პროზა (განსხვავება). რითმა და მისი სახეები; ლექსის მთავარი ზომები (ტერფის სახეები). ლექსთწყობის სისტემები. ლექსის მთავარი სქემები (ქართული, ევროპული, აღმოსავლური). ლიტერატურის გვარებად და ჟანრებად ჩამოყალიბება: ეპიკური, ლირიკული და დრამატული ჟანრები.

კურსის კოდი: HAB0390

კურსის დასახელება: **კლასიკური ფილოლოგია** (5 კრედიტი).

კურსის მიზანია ანტიკური ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლა ანტიკურობის ინტელექტუალურ და სოციალურ კონტექსტში, ლათინური ენის შესწავლა, მისი ფორმირებისა და განვითარების ძირითადი ეტაპების განხილვა ინდოევროპული ენათმეცნიერების ჭრილში, ანტიკური კულტურის, როგორც ევროპული და გარკვეულწილად, თანამედროვე მსოფლიო კულტურის განხილვა კვლევის

თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით. ჟანრის ფორმირებისა და განვითარების კანონზომიერებისა თუ თავისებურებების ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ჰომეროსის, ჰესიოდეს, აპოლონიოს როდოსელის, ვირგილიუსის, ოვიდიუსის, საფოს და სხვათა შემოქმედებას, ანტიკური და პოსტანტიკური კონცეფციების შედარებით განხილვას.

საფაკულტეტო არჩევითი კურსი I (5 კრედიტი)
(შესავალი კურსები)

კურსის კოდი: HAB0380

კურსის დასახელება: **შესავალი არქეოლოგიაში (5 კრედიტი).**

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: არქეოლოგია, როგორც მეცნიერების დარგი (საგანი, მიზანი და ამოცანები); ხელოვნების ძეგლთა და სიძველეთა დაგროვება-კოლექციონირება; არქეოლოგიურ ძეგლთა დაცვა და სამუზეუმო კოლექციები; ნივთიერი კულტურა-არქეოლოგიის ძირითადი წყარო (კერამიკა, ლითონები, მინა, ქვა...); არქეოლოგია თანამედროვე მეცნიერებათა სისტემაში; არქეოლოგია და დამხმარე დისციპლინები (ნუმისმატიკა, ეპიგრაფიკა, გლიპტიკა); ეთნოარქეოლოგიური კვლევა; არქეოლოგია და ჰუმანიტარული მეცნიერებები (კლასიკური ფილოლოგია; ისტორია, ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, ხელოვნების და კულტურის ისტორია); არქეოლოგია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (პალეოანთროპოლოგია, პალეობოტანიკა, პალეობიოლოგია, პალეოეკოლოგია); არქეოლოგია და სინფორმაციო ტექნოლოგიები; წერილობითი წყაროები და არქეოლოგია; არქეოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია; კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.

კურსის კოდი: HIB0791

კურსის დასახელება: **შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოლოგიის და ისტორიის ცნება; აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესწავლის საგანი და მიზენი; სემიტოლოგიის, თურქოლოგიისა და ირანისტიკის სკოლების ტრადიციები საქართველოში; აღმოსავლური ფილოლოგიისა და ისტორიის კვლევის ძირითადი მიმართულებები და მათი შესწავლის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის. მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ძირითადი ლიტერატურული ტენდენციები; ქართულ-აღმოსავლური ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობების საკითხები.

კურსის კოდი: HLB0541

კურსის დასახელება: **შესავალი ქართულ ფილოლოგიაში (5 კრედიტი).**

კურსი შედგება ორი ნაწილისაგან: შესავალი ქართულ ენაში და შესავალი ქართულ ლიტერატურაში. ქართული ლიტერატურის პროპედევტიკულ კურსში სტუდენტებს ლექციები წაეკითხებათ შემდეგ საკითხებზე: ქართული მწერლობის განვითარების უმთავრესი პერიოდები და ძირითადი ტენდენციები უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე, „ვეფხისტყაოსნის“ როლისა და ადგილისათვის მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, ლიტერატურული დაჯგუფებანი და ძირითადი მიმდინარეობანი ქართულ მწერლობაში, ემიგრაციაში მოღვაწე ქართველ მწერალთა შემოქმედება, ქართული კულტურისა და მწიგნობრობის კერები საქართველოსა და უცხოეთში... აღნიშნული

საკითხები შესწავლილ იქნება მსოფლიო ლიტერატურის შესაბამის მოვლენებთან კონტექსტში. კურსის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს სასკოლო განათლება.

კურსის მეორე ნაწილი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართველი ერის ისტორიული განვითარების გზა, ქართული ენის წარმოშობა და მისი თეორიები, ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა სისტემაში, ქართული დამწერლობის წარმოშობა, განვითარების ეტაპები, ქართული ენის ურთიერთობა სხვა ენებთან, დიალექტები და ურთიერთობა სალიტერატურო ენასთან, ქართული ენის ნორმირების საკითხები.

კურსის კოდი: HEB0241

შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოლოგიის ცნება; ფილოლოგიის მომიჯნავე დისციპლინები; ინგლისური ფილოლოგიის, როგორც დარგის, შესწავლის საგანი და მიზნები; ინგლისური ფილოლოგიის ძირითადი ასპექტები, ინგლისური ენის პრაქტიკული კურსების ზოგადი აღწერილობა მოდულური სწავლების სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით: თითოეული ასპექტისა და ინგლისური ენის გრამატიკის საფუძვლების აღწერა; ინგლისური ენის თეორიული კურსების მიზნებისა და ამოცანების ზოგადი დახასიათება; ინგლისურ ენაზე საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების მიხედვით საკურსო და სადიპლომო ნაშრომის შესრულების ტექნოლოგიების სწავლება;

კურსის ასევე მიზნად ისახავს მიაწოდოს სტუდენტს ზოგადი ხასიათის ინფორმაცია ინგლისური ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების შესახებ; გამოუმუშავოს მას ფილოლოგიის უნარ-ჩვევები (ბიბლიოთეკაში მუშაობა, რეფერატის დაწერა, რეფერატის, სამეცნიერო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესები).

კურსის კოდი: HFB0511

შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოლოგიის ცნება; ფილოლოგიის მომიჯნავე დისციპლინები; გერმანული ფილოლოგიის, როგორც დარგის, შესწავლის საგანი და მიზნები; აღნიშნულ კურსში ისწავლება ცალკეული საკითხები გერმანული ენის მორფოლოგიიდან და სინტაქსიდან, ასევე შესასწავლი ენის ზოგიერთი მომენტი ენის ისტორიიდან: მაგ., გერმანული ენის წარმოშობის ისტორიული პირობები, გერმანიკულ ენათა ოჯახი, გერმანიკული ტომები, გერმანული დიალექტები, გერმანული ენის ეროვნული ვარიანტები, გერმანული ენის არსებობის ფორმები, საშუალო გერმანულის ზოგადი დახასიათება, ადრეული ახალი გერმანულის ზოგადი დახასიათება; ლიტერატურული ენის ფორმირების ძირითადი ეტაპები და ტენდენციები, საკითხები ენის ლექსიკური მარაგის შევსებისა და გამდიდრებისათვის.

ამასთანავე, კურსი სტუდენტს მიაწვდის ზოგადი ხასიათის ინფორმაციას გერმანული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების შესახებ;

გამოუმუშავებს მას ფილოლოგისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს (ბიბლიოთეკაში მუშაობა, რეფერატის დაწერა, რეფერატის, სამეცნიერო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესები).

კურსის კოდი: HFB0611

კურსის დასახელება: **შესავალი რომანულ ფილოლოგიაში** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოლოგიის ცნება; ფილოლოგიის მომიჯნავე დისციპლინები; ფრანგული ფილოლოგიის, როგორც დარგის, შესწავლის საგანი და მიზნები; აღნიშნულ კურსში ზოგადად ისწავლება ენის თეორიის საწყისი ცნებები ფრანგული ენის მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკურ-სემანტიკური და სტილისტური სისტემების ზოგადი დახასიათების საშუალებით. კურსის მიზანია აგრეთვე კურიკულუმით გათვალისწინებული შესასწავლი ენობრივი ასპექტების მიმოხილვა. შესავალი ფრანგულ ფილოლოგიაში ითვალისწინებს აგრეთვე სტუდენტისათვის ზოგადი ხასიათის ინფორმაციის მიწოდებას ფრანგული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების შესახებ;

კურსის მიზანია, სტუდენტს ჩამოუყალიბოს ფილოლოგიის უნარ-ჩვევები (ბიბლიოთეკაში მუშაობა, რეფერატის დაწერა, რეფერატის, სამეცნიერო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესები).

კურსის კოდი: HSB0361

კურსის დასახელება: **შესავალი სლავურ ფილოლოგიაში** (5 კრედიტი).

ფილოლოგიის, როგორც ჰუმანიტარული მეცნიერების განსაზღვრა. სლავური ფილოლოგიის სპეციფიკა და განვითარების ეტაპები. წამყვანი სკოლებისა და პერსონალიების დახასიათება. ლიტერატურის, როგორც მეცნიერებისა და სიტყვის ხელოვნების ადგილი რუსული კულტურის ისტორიაში.

შესავალი სლავურ ფილოლოგიაში (ენა) აცნობს სტუდენტებს სლავური ენების ადგილს სხვა ევროპულ ენებს შორის, აგრეთვე აძლევს წარმოდგენას მათ ფონეტიკური და გრამატიკული სპეციფიკის შესახებ.

კურსი ეყრდნობა სტუდენტის მიერ სკოლაში მიღებულ ცოდნას. მისი შესწავლა ხდება მომიჯნავე დისციპლინების - კლასიკური ფილოლოგიისა და ენათმეცნიერების შესავლის პარალელურად.

საფაკულტეტო არჩევითი კურსი II (ენები) (5 კრედიტი)

კურსის კოდი: HEB0051

ინგლისური ენა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს ინგლისური ენის ოთხივე ასპექტის – წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი – კომპლექსურ სწავლებას; გრამატიკული მასალა: სიტყვათწარმოების წესები, საყოველთაოდ მიღებული წერილობითი ნორმები, მოსმენილი მასალის აღქმა და ანალიზი, საუბრის დიალოგური და მონოლოგური ფორმით წარმართვა, კითხვითი ტიპის დავალებების შესრულება. ზეპირი და წერილი უნარ-ჩვევების განვითარება სწავლების თანამედროვე მეთოდების საშუალებების სასწავლო პროცესში ჩართვა, სააუდიტორიო, კლასგარეშე და ინდივიდუალური შეთავსებითი ხასიათის მუშაობა, ჰენდაუტების, აუდიო-ვიდეო მასალების, უახლესი სახელმძღვანელოების გამოყენება.

კურსის კოდი: HFB0071

გერმანული ენა (5 კრედიტი)

კურსის სტატუსი არის არჩევითი და ეყრდნობა სასკოლო განათლებით მიღებულ უნარ-ჩვევებს. ენის შემსწავლელი უნდა ფლობდეს საბაზისო ცოდნას გერმანული ენის ზეპირ და

წერით მეტყველებაში. სწავლებისას კომპლექსურად ხდება სხვადასხვა უნარებზე მუშაობა, გრამატიკის საფუძვლების უცხო ენაზე თეორიულად და პრაქტიკულად დამუშავება, მარტივი აუტენტური დიალოგების მოსმენა და გაგება, წერილობით ელემენტარული ორთოგრაფიული ნორმების გაცნობა და მარტივი კარნახების შესრულება. კურსში ასევე გათვალისწინებულია სტუდენტებისათვის ქვეყნისმცოდნეობითი მოკლე ინფორმაციების (კლიშეები, რეალიები) გაცნობა. კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტმა უნდა შეძლოს ელემენტარული საუბარი, მარტივი, ადაპტირებული ტექსტის გაგება და დონის შესაბამისი ლექსიკურ-გრამატიკული ტესტის შესრულება.

კურსის კოდი: HFB0341

კურსის დასახელება: ფრანგული ენა (5 კრედიტი).

კურსის სტატუსი არის არჩევითი და ეყრდნობა სასკოლო განათლებით მიღებულ უნარ-ჩვევებს. ენის შემსწავლელი უნდა ფლობდეს საბაზისო ცოდნას ფრანგული ენის ზეპირ და წერით მეტყველებაში. სწავლებისას კომპლექსურად ხდება სხვადასხვა უნარებზე მუშაობა, გრამატიკის საფუძვლების უცხო ენაზე თეორიულად და პრაქტიკულად დამუშავება, მარტივი აუტენტური დიალოგების მოსმენა და გაგება, წერილობით ელემენტარული ორთოგრაფიული ნორმების გაცნობა და მარტივი კარნახების შესრულება. კურსში ასევე გათვალისწინებულია სტუდენტებისათვის ქვეყნისმცოდნეობითი მოკლე ინფორმაციების (კლიშეები, რეალიები) გაცნობა. კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტმა უნდა შეძლოს ელემენტარული საუბარი, მარტივი, ადაპტირებული ტექსტის გაგება და დონის შესაბამისი ლექსიკურ-გრამატიკული ტესტის შესრულება.

კურსის კოდი: HSB0291

კურსის დასახელება: რუსული ენა (5 კრედიტი).

რუსული ენის სწავლების ლინგვისტურ კურსში სტუდენტის ლინგვისტურ გა მეთოდური დაოსტატების პროცესი მიზნად ისახავს დაეხმაროს სტუდენტს რუსული ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარებასა და სრულყოფაში, ორთოგრაფიისა და ორთოეპიის სფეროში არსებული ცოდნის კორექტირებაში, გაღრმავებასა და აქტივიზაციაში. კურსში შესწავლილი იქნება: რუსული ენის ძირითადი ორთოგრაფიული ნორმები და მოხდება წერის დროს მათი სწორად გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება; რუსული ენის ძირითადი ორთოეპიული ნორმები და ზეპირი მეტყველების დროს მათი სწორად გამოყენება; მოხდება რუსულ ენაზე მარტივი ტექსტების კითხვის, თარგმნის, გაგების, ანალიზის, გადმოცემის უნარის განვითარება

კურსის კოდი: HIB0031

კურსის დასახელება: არაბული ენა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს არაბული ანბანის, კალიგრაფიის ტექნიკის (ასოთა მოხაზულობა, გადაბმა და ა. შ.), დამატერბითი ნიშნების, კითხვისა და წარმოთქმის წესების შესწავლას; უმარტივესი გახმოვნებული ფრაზების, ტექსტებისა და დიალოგების კითხვას, გაგებასა და გადმოცემას.

კურსის კოდი: HIB0021

კურსის დასახელება: თურქული ენა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს თურქული ენის ანბანის, კითხვის და წარმოთქმის წესების შესწავლას, უმარტივესი ფრაზების, ტექსტებისა და დიალოგების კითხვას, გაგებასა და გადმოცემას.

კურსის კოდი: HIB0011

კურსის დასახელება: სპარსული ენა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს არაბული ანბანის, კალიგრაფიის ტექნიკის (ასოთა მოხაზულობა, გადაბმა და ა. შ.), დამატერბითი ნიშნების, კითხვისა და წარმოთქმის წესების შესწავლას; უმარტივესი გახმოვნებული ფრაზების, ტექსტებისა და დიალოგების კითხვას, გაგებასა და გადმოცემას.

კურსის კოდი: HLB0401

კურსის დასახელება: ქართული ენა უცხოელი სტუდენტებისათვის

საგანი ხელს შეუწყობს არაქართველ სტუდენტთა (ან სპეციალისტთა) წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის ჩამოყალიბება-ამაღლებას, დიალოგის წარმართვის, დამოუკიდებელი აზროვნებისა და მსჯელობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ქართული ენის შესაძლებლობების დაუფლებას, რაც ქართული ენის შესწავლით დაინტერესებული პიროვნების პროფესიონალიზმის საფუძველია.

საგანი ითვალისწინებს ქართველოლოგიის ზოგადი საკითხების, ქართული ენის გრამატიკული წყობისა და ლექსიკური ფონდის, განსაკუთრებით თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა შესწავლას.

პროგრამის სავალდებულო კურსები (130 კრედიტი)

კურსის კოდი: HEB0120

ინგლისური ენა 1 (10 კრედიტი)

კურსი მოიცავს ინგლისური ენის ლექსიკისა და გრამატიკის კომპლექსურ სწავლებას. ინგლისურად მეტყველების ზოგადი უნარების განვითარებას. გრამატიკის საფუძვლებში მოქმედებით და ვნებით გვარში ზმნების დროითი ფორმების განმტკიცებას, ზმნების უპირო ფორმების ფუნქციების გაცნობას, ვნებითი გვარისა და ირიბი ნათქვამის სწავლებას. ინტენსიურ კითხვაში ტექსტის გაგებას და მასში მთავარი იდეის დადგენას, კითხვის ტექსტის სრულყოფას, თხრობის ჩვევების გაუმჯობესებას. ენის ფუნქციებში შემდეგი ტემების ირგვლივ (ერები და ქვეყნები, გარეგნობა, სამუშაო რელიგია) სასაუბრო უნარ-ჩვევების გაღრმავებას, მოსასმენი მასალის გამოყენებას მოსმენის ასპექტისათვის.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი ინგლისური ენა

კურსის კოდი: HEB0130

ინგლისური ენა – 2 (10 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ ასპექტებს: პრაქტიკული გრამატიკა, ინტენსიური კითხვა, ენის ფუნქციები მოსმენით, მხატვრული კითხვა, დესკრიფციული წერა და პრესა.

ამ საფეხურზე პრაქტიკული გრამატიკის მეცადინეობაზე მოქმედებით და ვნებით გვარში ზმნების დროითი ფორმების განმტკიცება, ირიბი მეტყველების გამოყენების სისტემატიზაცია, ზმნების უპირო ფორმების ფუნქციებს გაცნობა უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ ტექსტის გაგებას, მთავარი იდეის დადგენას, კითხვის ტექსტის სრულყოფას, თხრობის ჩვევების გაუმჯობესებას. სტუდენტები

კითხულობენ მაღალი დონის ადაპტირებულ ტექსტებს ან შედარებით მარტივ ორიგინალებს. ამ საფეხურზე სხვადასხვა თემის ირგვლივ (განათლება, ადამიანის ხასიათი, სამუშაო) მიმდინარეობს სასაუბრო უნარ-ჩვევების გაღრმავება მოსასმენი მასალის გამოყენებით.

სტუდენტები ეცნობიან წერიტი მეტყველების საფუძვლებს. იგივე საფეხურზე სტუდენტებთან განიხილება ინგლისური და ამერიკული გაზეთების ტიპები, რუბრიკები, ტერმინოლოგია, ინგლისური პრესის ენის თავისებურებანი. აქვე იწყება მოკლე ახალი ამბების კითხვა და გაგება გაზეთებიდან “Georgian Times”, “Georgia Today” და “The Guardian Weekly”.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი ინგლისური ენა 1

კურსის კოდი: HEB0140

ინგლისური ენა – 3 (10 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ ასპექტებს: პრაქტიკული გრამატიკა, ინტენსიური კითხვა, ენის ფუნქციები მოსმენით, მხატვრული კითხვა, დესკრიფციული წერა და პრესა. ამ საფეხურზე პრაქტიკული გრამატიკის მეცადინეობაზე მოქმედებით და ვნებით გვარში ზმნების დროითი ფორმების განმტკიცება, ირიბი მეტყველების გამოყენების სისტემატიზაცია, ზმნების უპირო ფორმების ფუნქციებს გაცნობა უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ ტექსტის გაგებას, მთავარი იდეის დადგენას, კითხვის ტექსტის სრულყოფას, თხრობის ჩვევების გაუმჯობესებას. სტუდენტები კითხულობენ მაღალი დონის ადაპტირებულ ტექსტებს ან შედარებით მარტივ ორიგინალებს. ამ საფეხურზე სხვადასხვა თემის ირგვლივ (განათლება, ადამიანის ხასიათი, სამუშაო) მიმდინარეობს სასაუბრო უნარ-ჩვევების გაღრმავება მოსასმენი მასალის გამოყენებით.

სტუდენტები ეცნობიან წერიტი მეტყველების საფუძვლებს. იგივე საფეხურზე სტუდენტებთან განიხილება ინგლისური და ამერიკული გაზეთების ტიპები, რუბრიკები, ტერმინოლოგია, ინგლისური პრესის ენის თავისებურებანი. აქვე იწყება მოკლე ახალი ამბების კითხვა და გაგება გაზეთებიდან “Georgian Times”, “Georgia Today” და “The Guardian Weekly”.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი ინგლისური ენა 2

კურსის კოდი: HEB0150

ინგლისური ენა 4 (10 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ ასპექტებს: კომუნიკაციური გრამატიკა, პერფორმაცია, ანალიზური კითხვა, ტექსტის ინტერპრეტაცია, შემოქმედებითი წერა, მხატვრული ტექსტის კითხვა, მულტიმედია, ბიზნესის ენა, ანოტირება-რეფერირება. თეორიული კურსი მოიცავს: ლექსიკოლოგია, ენის ისტორია, თეორიული გრამატიკა.

ამ საფეხურზე **კომუნიკაციური გრამატიკის** მეცადინეობებზე მოდალური ზმნების ფუნქციების დადგენა, ზმნის პირიან და უპირო ფორმებზე ვარჯიში, დამოკიდებული წინადადებების ტიპების გაცნობა ეხმარება სტუდენტებს შეძლონ **მულტიმედიაში** საგაზეთო სტატიების წაკითხვა ორიგინალში და მათი ინტერპრეტაცია. ამ საფეხურზე **კომუნიკაციურ პერფორმაციაში** სასაუბრო უნარ-ჩვევებზე ვარჯიში მიმდინარეობს შემდეგ თემებზე: სიყვარული და ქორწინება, დანაშაული და სასჯელი, რელიგია, ქალაქი და სოფელი, მასმედია, არდადეგები

და ფესტივალები. სწავლების ამ საფეხურზე შემოქმედებით წერაში სტუდენტები ეცნობიან პარაგრაფის წერის სტრუქტურას, თეზისის ჩამოყალიბებას, პარაგრაფთა ლოგიკურ გადაბმას და იდეების სწორად ორგანიზებას თხზულების დაწერის პროცესში.

მხატვრული ტექსტის კითხვა მოიცავს XX საუკუნის ცნობილი ამერიკელი მწერლის ა. ჰაელის რომანს 'The Final Diagnosis'. ანოტირება-რეფერირების მიზანს წარმოადგენს ჩამოყალიბოს სტუდენტებს რეფერატის, ანოტაციის და რეცენზიის შედგენის უნარ-ჩვევები. ხსენებული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება ხდება სამეცნიერო მონოგრაფიების, კრებულების, საგაზეთო სტატიების და სიმპოზიუმის მასალაზე დაყრდნობით.

ამ საფეხურზე მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია გულისხმობს სტუდენტთა მომზადებას მხატვრული ტექსტის ესთეტიკურ-შემეცნებითი ინფორმაციის სიღრმისეული და ადეკვატური გაგებისათვის, რაც ეფუძნება ენის ექსპრესიული საშუალებისა და სტილისტური ხერხების თეორიულ ცოდნას.

სწავლების ამ საფეხურზე ბიზნეს ინგლისური მოიცავს ბიზნესისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ენის გაცნობას ბიზნეს – სიტუაციებზე დაყრდნობით. კურსი გულისხმობს მარკეტინგის, საერთაშორისო ბიზნეს-მენეჯმენტის, ბიზნეს საფეხურებისა და ბიანეს კორესპოდენციების დაუფლებას.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი ინგლისური ენა 3

კურსის კოდი: HEB0160

ინგლისური ენა 5(10 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ ასპექტებს: კომუნიკაციური გრამატიკა, კომუნიკაციური პერფორმაცია, ანალიზური კითხვა, ტექსტის ინტერპრეტაცია, შემოქმედებითი წერა, მხატვრული ტექსტის კითხვა, მულტიმედია, ბიზნესის ენა, ანოტირება-რეფერირება. თეორიული კურსი მოიცავს: ლექსიკოლოგია, ენის ისტორია, თეორიული გრამატიკა.

ამ საფეხურზე კომუნიკაციური გრამატიკის მეცადინეობებზე მოდალური ზმნების ფუნქციების დადგენა, ინგლისური ენის სინტაქსის პრობლემური საკითხები, დამოკიდებული წინადადებების ტიპების გაცნობა ეხმარება სტუდენტებს შეძლონ მულტიმედიაში საგაზეთო სტატიების წაკითხვა ორიგინალში და მათი რეფერირება / ანოტირება განსხვავებული თემატიკის მიხედვით.. ამ საფეხურზე კომუნიკაციურ პერფორმაციაში სასაუბრო უნარ-ჩვევებზე ვარჯიში მიმდინარეობს შემდეგ თემებზე: თანამედროვე ტექნოლოგიები, ქალაქის ცხოვრება, ომი და მშვიდობა, მსოფლიო რელიგიები, ადამიანის უფლებები. სწავლების ამ საფეხურზე შემოქმედებით წერაში სტუდენტები ეცნობიან შედარებითი და კონტრასტული ესეს წერის პრინციპებს.

მხატვრული ტექსტის კითხვა მოიცავს XX საუკუნის ამერიკელი და ბრიტანელი მწერლების ორიგინალებს.

ანოტირება-რეფერირების მიზანს წარმოადგენს ჩამოყალიბოს სტუდენტებს რეფერატის, ანოტაციის და რეცენზიის შედგენის უნარ-ჩვევები. ხსენებული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება ხდება სამეცნიერო მონოგრაფიების, კრებულების, საგაზეთო სტატიების და სიმპოზიუმის მასალაზე დაყრდნობით.

ამ საფეხურზე მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია გულისხმობს სტუდენტთა მომზადებას წერილობითი ფორმით მოახილდონ მხატვრული

ტექსტის იმპლიციტური ინფორმაციის ადეკვატური ანალიზი, რაც ეფუძნება ენის ექსპრესიული საშუალებისა და სტილისტური ხერხების თეორიულ ცოდნას.

სწავლების ამ საფეხურზე **ბიზნეს ინგლისური** მოიცავს ბიზნესისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ენის გამოყენებით ბიზნეს პროექტების შედგენას.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი ინგლისური ენა 4

კურსის კოდი: HEB0170

ინგლისური ენა 6 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ ასპექტებს; შემოქმედებითი წერა, მულტიმედია, მხატვრული ტექსტის კითხვა, კრიტიკული კითხვა, კომუნიკაციური პერფორმაცია.

შეწავლების ამ საფეხურზე **შემოქმედებით წერაში** სტუდენტები ეცნობიან ინგლისურ ენაზე სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის წერის საერთაშორისო მხატვრული ტექსტის კითხვის ტექსტი მოიცავს ორიგინალი ლიტერატურის კითხვას.

კომუნიკაციური პერფორმაცია ეკითხება სტუდენტებს ინგლისური ენის სტრატეგიული გამოყენებისათვის ყოველდღიურ სიტუაციებში. როგორც ლექსიკურად ასევე ფუნქციურად მათ უნდა შეეძლოთ ადეკვატური მონაწილეობა მიიღონ ინგლისურ ენოვანი ქვეყნების სოციალურ ცხოვრებაში. კრიტიკული კითხვის კურსი ითვალისწინებს სტუდენტთა კრიტიკულ აზროვნებას. კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა ნათლად გამოხატოს თავისი მოსაზრება და შეძლოს დებატებში მონაწილეობის მიღება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი ინგლისური ენა 5

კურსის კოდი: HEB0180

ინგლისური ენა 7 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ ასპექტებს; შემოქმედებითი წერა, მულტიმედია, მხატვრული ტექსტის კითხვა, კრიტიკული კითხვა, კომუნიკაციური პერფორმაცია.

შესწავლების ამ საფეხურზე **შემოქმედებით წერაში** სტუდენტები ეუფლებიან სამეცნიერო ნაშრომის გაფორმების სერტაშორისო სტანდარტებს.

მხატვრული ტექსტის კითხვის ტექსტი მოიცავს ორიგინალი ლიტერატურის კითხვას.

კომუნიკაციური პერფორმაცია ეკითხება სტუდენტებს. რათა მათ შეძლონ მონოლოგის წარმართვა უცნობი საყოფაცხოვრებო თუ სამეცნიერო თემატიკის ირგვლივ. ასევე ფუნქციურად მათ უნდა შეეძლოთ ადეკვატური მონაწილეობა მიიღონ ინგლისურენოვანი ქვეყნების სოციალურ ცხოვრებაში. **კრიტიკული კითხვის კურსი** ითვალისწინებს სტუდენტთა კრიტიკული აზროვნების განვითარებას. კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა ნათლად გამოხატოს თავისი მოსაზრება და შეძლოს დებატებში მონაწილეობის მიღება ინგლისურენოვან მოსაუბრესთან.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი ინგლისური ენა 6

კურსის კოდი: HEB0200

ინგლისური ენის ლექსიკოლოგია (5 კრედიტი)

ლექსიკოლოგია, როგორც ენათმეცნიერების დარგი სწავლობს სიტყვას, მის მორფემულ აგებულებას, ისტორიას და მნიშვნელობას. კურსი მოიცავს ლექსიკოლოგიას და მის მიმართებას ლინგვისტური სტრუქტურების სხვა დონეებთან, სიტყვათ-წარმოებას, სიტყვის მნიშვნელობას, პოლისემიას, სემანტიკურ ცვლილებას, სემანტიკურ ტრანსპოზიციას, სემანტიკურ ჯგუფებს, ომონიმებს, ინგლისური ლექსიკის კლასიკურ ელემენტებს, ნასესხებ სიტყვებს, ინგლისურ ფრაზეოლოგიას და ბრიტანული და ამერიკული ინგლისურის მსგავსებასა და განსხვავებას.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი ინგლისური ენა 3

კურსის კოდი: HEB0040

ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა (5 კრედიტი)

კურსის შესწავლის საგანია თანამედროვე ინგლისური ენის გრამატიკული წყობა. კურსის მიზანია ღრმად და ყოველმხრივ შეისწავლოს და დააგინოს ენის გრამატიკული წყობის თანამედროვე მდგომარეობის მახასიათებლები და გამოავლინოს ის კანონზომიერებები, რომლებიც მის თავისებურებებს განაპირობებენ. კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტებმა უნდა მიიღონ მყარი თეორიული ცოდნა თანადედროვე ინგლისური ენის გრამატიკულ სტრუქტურაზე, დაეუფლოს მორფოლოგიასა და სინტაქსს, როგორც გრამატიკულ მოვლენათა სტრუქტურულ ასახვას, შეისწავლოს წინადადება როგორც ურთიერთობისა და შემეცნების პროცესის დიალექტიკის უჯრედი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი ინგლისური ენა 4, ინგლისური ენის ლექსიკოლოგია

კურსის კოდი: HEB0190

ინგლისური ენის ისტორია (5 კრედიტი)

კურსი სწავლობს ინგლისური ენის განვითარებას ლინგვისტური, კულტურული და ისტორიული საფუძვლების გათვალისწინებით. კერძოდ, იმ გრამატიკულ და ლექსიკურ ცვლილებებს, რაც ენამ განიცადა. კურსი მოიცავს ინგლისური ენის საგანსა და მიზნებს, გერმანიკული ენების გრამატიკის მახასიათებლებს, ძველი ინგლისურის მიმოხილვას, ძველი ინგლისურის გრამატიკას და შუა საუკუნეების ინგლისური ენის დახასიათებას.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი ინგლისური ენა 5, ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა

კურსის კოდი: HWB0240

საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია 1 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის დასავლეთევროპული ლიტერატურა; XVII საუკუნის ევროპული ლიტერატურის ძირითადი მიმდინარეობანი და მხატვრული ტენდენციები (რენესანსული რეალიზმი, კლასიციზმი, ბაროკო); ევროპული განმანათლებლობა და სენტიმენტალიზმი; ევროპული და ამერიკული რომანტიზმი; XIX საუკუნის ევროპული და ამერიკული რეალიზმი

კურსის შესწავლის წინაპირობა: შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში; კლასიკური ფილოლოგია

კურსის კოდი: HWB0230

მხატვრული ტექსტის ანალიზი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: მხატვრული ტექსტის ცნება; ტექსტი და კონტექსტი; მხატვრული ტექსტის ანალიზის მეთოდები და ძირითადი ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლები; მხატვრული ტექსტის ფორმა და შინაარსი; ძირითადი ლიტერატურული ჟანრები; მხატვრული ტექსტის ფაბულა და სიუჟეტი; კომპოზიცია და სტრუქტურა; ავტორისა და მთხრობელის კატეგორიები; თხრობის პერსპექტივები; მხატვრული სახის ესთეტიკური კატეგორია; მხატვრული დრო და სივრცე, ქრონოტოპის ცნება; ინტერტექსტუალობა; მხატვრული ტექსტის ენობრივი დონე; მხატვრული ტექსტის სტილი; ვერსიფიკაციის საკითხები; კურსი ასევე მოიცავს პრაქტიკულ მუშაობას მხატვრულ ტექსტებზე დედანში, ცალკეული მხატვრული ტექსტების ანალიზს შესწავლილი მეთოდებისა და ესთეტიკური კატეგორიების მიხედვით.

კურსის შესწავლის წინაპირობა: შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში

კურსის კოდი: HWB0250

საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია 2 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: XIX-XX საუკუნეების მიჯნის ევროპული ლიტერატურა (დეკადენტური მიმდინარეობანი); XX საუკუნის I ნახევრის ევრო-ამერიკული ლიტერატურა (მოდერნიზმი, რეალიზმი); XX საუკუნის II ნახევრის ევრო-ამერიკული ლიტერატურა

კურსის შესწავლის წინაპირობა: საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია 1

კურსის კოდი: HWB0400

შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ინგლისური ლიტერატურის ისტორია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ინგლისური ლიტერატურის ისტორიის პერიოდიზაცია; ანგლო-საქსური ლიტერატურა; ანგლო-ნორმანული ლიტერატურა; ინგლისური სარაინდო რომანი; ინგლისური წინარენესანსი და ჯეფრი ჩოსერი; ინგლისური რენესანსის სპეციფიკა და ეტაპები; ინგლისური რენესანსული პოეზია; ინგლისური რენესანსული პროზა; ინგლისური რენესანსული დრამა; უ. შექსპირის შემოქმედება

კურსის შესწავლის წინაპირობა: შესავალი კურსი ინგლისურ ფილოლოგიაში; საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია 1

კურსის კოდი: HWB0050

XVII-XVIII საუკუნეების ინგლისური ლიტერატურის ისტორია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: XVII საუკუნის ინგლისური ლიტერატურის ძირითადი მიმდინარეობანი; „მეტაფიზიკური სკოლა“; ჯონ დონის პოეზია; რენესანსული რეალიზმი და ბენ ჯონსონი; ინგლისური განმანათლებლობის სპეციფიკა და ეტაპები; ინგლისური განმანათლებლური რომანი; სენტიმენტალიზმი ინგლისურ ლიტერატურაში; სენტიმენტალური რომანი და ლორენს სტერნი; წინარომანტიზმი და „გოთური“ რომანი.

კურსის შესწავლის წინაპირობა: შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ინგლისური ლიტერატურის ისტორია

კურსის კოდი: HWB0020

XIX საუკუნის ინგლისური ლიტერატურის ისტორია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ინგლისური რომანტიზმის სპეციფიკა და ეტაპები; ადრეული ინგლისური რომანტიზმი და „ლეიკისტები“; „ლირიკული ბალადების“ წინასიტყვაობა: ინგლისური რომანტიზმის მანიფესტი; ინგლისური რომანტიკული პოეზია (ბლეიკი, შელი, ბაირონი, კიტსი); უ. სკოტი: ისტორიული რომანის ფუძემდებელი; რომანტიკული და რეალისტური უ. სკოტის რომანებში; XIX საუკუნის ინგლისური რეალისტური ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები; XIX საუკუნის ინგლისური რეალისტური რომანი (ჩ. დიკენსი, უ.თეკერეი, ე. გასკელი, შ. ბრონტე)

კურსის შესწავლის წინაპირობა: XVII-XVIII საუკუნეების ინგლისური ლიტერატურის ისტორია

კურსის კოდი: HWB0060

XX საუკუნის I ნახევრის ინგლისური ლიტერატურის ისტორია (5 კრედიტი)

დეკადენტური მიმდინარეობანი XIX საუკუნის II ნახევრის ინგლისურ ლიტერატურაში (პრერაფაელიტიზმი, სიმბოლიზმი, ესთეტიზმი, ნატურალიზმი, ნეორომანტიზმი და სხვ.); XX საუკუნის I ნახევრის ინგლისური ლიტერატურა (მოდერნიზმი, რეალიზმი); ინგლისური მოდერნიზმის სპეციფიკა; ინგლისური მოდერნისტული რომანის პოეტიკა (ჯ. ჯოისი, ვ. ვულფი, დ. ჰ. ლორენსი); ინგლისური მოდერნისტული პოეზია (ტ. ს. ელიოტი, ე. პაუნდი); XX საუკუნის I ნახევრის ინგლისური რეალიზმის სპეციფიკა; ჯონ გოლზუორთის შემოქმედება; XX საუკუნის I ნახევრის ინგლისური დრამა: ბ. შო

კურსის შესწავლის წინაპირობა: XIX საუკუნის ინგლისური ლიტერატურის ისტორია

კურსის კოდი: HWB0080

XX საუკუნის II ნახევრის ინგლისური ლიტერატურის ისტორია (5 კრედიტი)

XX საუკუნის II ნახევრის ინგლისური ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები; პოსტმოდერნისტული ტენდენციები XX ს-ის II ნახევრის ინგლისურ ლიტერატურაში; ანტიკოლონიალური ლიტერატურა; ფილოსოფიური რომანი; ფსიქოლოგიური რომანი; „გაჯავრებული ახალგაზრდების“ ლიტერატურა; „ახალი ტალღის“ დრამატურგია; „აბსურდის“ დრამა; XX საუკუნის II ნახევრის ინგლისური პოეზია

კურსის შესწავლის წინაპირობა: XX საუკუნის I ნახევრის ინგლისური ლიტერატურის ისტორია

კურსის კოდი: HWB0110

სპეცკურსი: XX საუკუნის ინგლისური ლიტერატურის პრობლემური საკითხები (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ტერმინ „მოდერნიზმის“ დეფინიციის პრობლემა; ევროპული მოდერნიზმის სოციალურ-პოლიტიკური და მსოფლმხედველობრივი წანამძღვრები, მისი ესთეტიკა და ინგლისური მოდერნიზმის სპეციფიკა;

კონვენციური რომანი და მოდერნისტული რომანი: შედარებითი ანალიზი; ინგლისური მოდერნისტული რომანის პოეტიკის პრობლემური საკითხები; დროის პრობლემა ინგლისურ მოდერნისტულ რომანში; „ნეომითოლოგიზმის“ პრობლემა ინგლისურ მოდერნისტულ რომანში; მითოსური ქრონოტოპი ინგლისურ მოდერნისტულ რომანში; „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკა ინგლისურ მოდერნისტულ რომანში.

კურსის შესწავლის წინაპირობა: XX საუკუნის I ნახევრის ინგლისური ლიტერატურის ისტორია

კურსის კოდი: HLB0380

კურსის დასახელება: **ქართული ენა** (2, 5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართველი ერის ისტორიული განვითარების გზა, ქართული ენის წარმოშობა და მისი თეორიები, ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა სისტემაში, ქართული დამწერლობის წარმოშობა, განვითარების ეტაპები, ქართული ენის ურთიერთობა სხვა ენებთან, დიალექტები და ურთიერთობა სალიტერატურო ენასთან, ქართული ენის ნორმირების საკითხები.

კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები: სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ საკითხთა ცოდნა ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიაში.

კურსის კოდი: HGB0121

კურსის დასახელება: **ქართული ლიტერატურა** (2, 5 კრედიტი)

აღნიშნული კურსის შესწავლა სტუდენტს გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის ქართული მწერლობის სამივე პერიოდის (ძველი, XIX და XX საუკუნეების) უმთავრეს პრობლემურ საკითხებზე. იგი მიიღებს არა მარტო სათანადო მეცნიერულ ინფორმაციას ზემოთქმულთან დაკავშირებით, არამედ მაღალ პროფესიულ დონეზე გაერკვევა ქართული ლიტერატურის ისტორიის არსსა და ქართველი კლასიკოსი მწერლების შემოქმედების უმთავრეს პრობლემატიკაში, რაც გაანალიზებული იქნება ევროპული ლიტერატურის კონტექსტში.

კურსის კოდი: HLB0180

კურსის დასახელება: **ზოგადი ენათმეცნიერება**

ზოგადი ენათმეცნიერების კურსი ეკითხება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის ფილოლოგიური სპეციალობების IV კურსის სტუდენტებს. კურსი მოიცავს ორ სფეროს: ენათმეცნიერების ისტორიისა და ენათმეცნიერების თეორიის საკითხებს. გათვალისწინებულია ყველა ძირითადი საენათმეცნიერო სკოლისა და თეორიული მიმდინარეობის დებულებების გაცნობა. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ენათა შესწავლისა და აღწერის მეთოდების დაუფლებასა და პრაქტიკულ აპრობაციას, ასევე ძირითადი სამეცნიერო პუბლიკაციების დამუშავებას.

კურსის შესწავლის წინაპირობა: კურსის შესათვისებლად სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს შესავალი კურსი ენათმეცნიერებაში.

კურსის კოდი: HEB0580

არჩევითი კურსი 1 - ქვეყანათმცოდნეობა (5 კრედიტი)

კურსის მიზანია გააღმავოს სტუდენტთა ცოდნა დიდი ბრიტანეთისა და ჩრთილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ. სტდენტებს ევალეზათ მოიძიონ მასალა, რომელიც ეხება ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნების ცხოვრებას, სახლემწიფო წყობას და ისტორიას, საგანმანათლებლო სისტემას, კულტურას. და წარმოადგინონ მოძიებული მასალა ჯგუფისა და მასწავლებლის წინაშე.

კურსის კოდი: HWB0011

არჩევითი კურსი 1 - XIX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ამერიკული რომანტიზმის სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური წანამძღვრები; ამერიკული და ბრიტანული რომანტიზმი: შედარებითი დახასიათება; ტრანსცენდენტალიზმი და რალფ უოლდო ემერსონი; ედგარ ალან პოს თეორიულ-ესთეტიკური შეხედულებები; ედგარ ალან პოს პოეზია; ედგარ ალან პოს ნოველისტიკის ჟანრობრივი თავისებურებანი; ჰერმან მელვილის შემოქმედება; ფენიმორ კუპერის შემოქმედება; ნათანიელ ჰოთორნის შემოქმედება; XIX საუკუ ნის ამერიკული რეალიზმი; მარკ ტვენის შემოქმედება; ლონგფელოუს „სიმღერა ჰაიავატაზე“; უოლტ უიტმენის პოეზია; ემილი დიკინსონის პოეზია

კურსის შესწავლის წინაპირობა: XIX საუკუნის ინგლისური ლიტერატურის ისტორია

კურსის კოდი: HEB0011

არჩევითი კურსი 2 - დესკრიფციული წერა 1 (5 კრედიტი)

კურსის მიზანია იდეების სწორად გადმოცემა ინგლისურ ენაზე წერილობით და მკითხველამდე მიიტანოს, ამა თუ იმ მოვლენისა და პიროვნების აღწერა, წარსულში მომხდარი ამბის გადმოცემა, მეგობრული თუ ოფიციალური ხასიათის წერილების წერა, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის და რეზიუმის შედგენა. თანაბარი ბალანსის შენაეჩუნება ფორმასა და შინაარსს შორის.

კურსის კოდი: HWB0101

არჩევითი კურსი 2 - XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: XX საუკუნის I ნახევრის ამერიკული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები; XX საუკუნის I ათწლეულების ამერიკული ნოველა (ჰ. ჯეიმზი, შ. ანდერსონი, ე. ჰემინგუეი, ფიცჯერალდი); „დაკარგული თაობის“ ლიტერატურა; ამერიკული მოდერნიზმის სპეციფიკა; ექსპატრიატები: ამერიკული მოდერნიზმის ევროპული სკოლა; ამერიკული მოდერნისტული რომანის პოეტიკა (ფოლკნერი, დოს პასოსი, ტ. ვულფი, გ. სტაინი); ამერიკული მოდერნისტული პოეზია (ე. პაუნდი, ტ. ელიოტი, უ. კარლოს უილიამსი); XX საუკუნის II ნახევრის ამერიკული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები; სელინჯერის შემოქმედება; პოსტმოდერნიზმი: ჯ. ბარტი და ტ. პინჩონი

კურსის შესწავლის წინაპირობა: XIX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა

კურსის კოდი: HEB0021

არჩევითი კურსი 3 - დესკრიფციული წერა 2

კურსი მოიცავს პარაგრაფის ინგლისურ ენაზე დაწერას, ფორმალურ და არაფორმალურ კორესპონდენციის წარმოებას, შავი და თეთრი ხელნაწერის რედაქტირებას. ორგანიზაციის აუცილებელი პრინციპების დაცვას.

კურსის კოდი: HWB0271

არჩევითი კურსი 3 - უილიამ შექსპირის დრამატურგია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: შექსპირის ეპოქა; შექსპირის ბიოგრაფია; ავტორობის საკითხი; შექსპირის შემოქმედების პერიოდიზაცია; შექსპირამდელი ინგლისური დრამა; ადრეული დრამატურგია: კომედიები, ისტორიული ქრონიკები; „რომეო და ჯულიეტა“: ოპტიმისტური ტრაგედია; „დიდი ტრაგედიები“: „ჰამლეტი“, „მაკბეტი“, „ოტელო“, „მეფე ლირი“; „რიჩარდ III“. რომანტიკული პიესები: „ქარიშხალი“, ციმბელინი

კურსის შესწავლის წინაპირობა: შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ინგლისური ლიტერატურის ისტორია

8. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.